



10 ივნისს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. სამეცნიერო კონფერენცია სტუდენტებისათვის უდიდესი შესაძლებლობაა განავითარონ დამოუკიდებელი მუშაობისა და კვლევის უნარი. განსაკუთრებით სასიამოვნო და საამაყო იყო ფაკულტეტის პროფესორებისათვის, რომ ეს ინიციატივა თავად სტუდენტებს ეკუთვნოდათ. იმ დღიდან, რაც გადაწყდა სტუდენტური კონფერენციის ჩატარება, ბაკალავრებმა და მაგისტრანტებმა დიდი აქტიურობა გამოიჩინეს თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად.

კონფერენციამ ორ სექციად იმუშავა: ეკონომიკის სექცია (ხელმძღვანელი სრული პროფ. რ. ხარებავა, ასოც. პროფ. მ. გელაშვილი) და ბიზნესის მიმართულება (ხელმძღვანელი სრული პროფ. დ. ჯალალონია, სრული პროფ. ზ. ლიპარტია). პლენარულ სხდომაზე მოისმინეს ხუთი მოხსენება.

კონფერენციის ბოლოს გამოვლინდა ათი საუკეთესო სტუდენტი და მაგისტრანტი, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ეკონომიკური შინაარსის სახელმძღვანელოებით: მაგისტრანტები - არდბელავა თამარი (I კურსი), ზლიაძე ზაქარია (I კურსი), თარიმანაშვილი არჩილი (II კურსი); ბაკალავრები - თავალანძე ლაშა, წიქარიშვილი ქეთი, გოგილავა ანა, ბალახაშვილი თეონა, ნოდია ლალი (I კურსი), ჯახაია ლიკა (II კურსი), გეთია შოთა (IV კურსი).

ფაკულტეტის პროფესორებმა გამორჩეულ სტუდენტებს აჩუქეს თავიანთი წიგნები, კონფერენციის ყველა მონაწილეს კი გადაეცა კონფერენციაში მონაწილეობის სიგელები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი მადლობას უცხადებენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ჯონი აფაქიძეს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ შოთა ახალაიას თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სტუდენტური კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარება.